წარსულის შენობების ადაპტაცია თანამედროვე ურბანულ გარემოში ეროვნული სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის მაგალითზე ქ.თბილისში

ელენე ნემსაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ლაურა ქუმსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022-2023 წელ

ფიგურა 1: ეროვნული სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა 19780-იანი წლები

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ნემსაძე 29.05.2023

აბსტრაქტი

ქალაქების განვითარებისა და გაფართოების გამო, ურბანული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისტორიული ნაგებობების ადაპტაცია და თანამედროვე ადგილების შექმნა. ისტორიული შენობების რესტავრაცია თუ ადაპტაცია თანამედროვე გამოყენებისთვის ახალ სიცოცხლეს მატებს გამოუყენებელ ან დაძველებულ შენობებს. ნაგებობის ადაპტირებითა და მისი სტრუქტურის შენარჩუნებით შენობას ეძლევა საშუალება იყოს მდგრადი და ასევე შეუნარჩუნდეს ისტორიული იერსახე, რომელიც მომავალი ცხოვრებისა და თაობებისთვის აუცილებელია. ნაშრომის მიზანია, კვლევაზე დაყრდნობით სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის ადაპტაცია თანამედროვე ურბანულ გარემოში.

თბილისის სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი კულტურისა და წარსულის ნაწილია ვერის უბნის, ისევე, როგორც თბილისის. მისი მთავარი პრობლემა შენობის ფუნქციის დანაწევრებაა, რადგან მასში არსებული სხვადასხვა ფუნქციის თანაარსებობა გაძნელებულია. გასათვალისწინებელია ასევე მისი მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას/რესტავრაციას.

შერჩეული საკითხის განხილვისა და კვლევის მთავარი მიზანია განვიხილოთ, თუ რა ახალი ფუნქცია შეიძლება მიეცეს ძველ შენობას, რომელსაც თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე დანიშნულება ჰქონდა, ხოლო შემდგომ დანაწევრებული მრავალი ფუნქციის შეთავსებით არსებობს.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავი არის სხვადასხვა ხერხით ბრუტალისტური შენობების ადაპტაცია თანამედროვე გარემოში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო მაგალითები - თუ როგორ შეძლეს კონკრეტული შენობების ადაპტაცია და გაამართლა თუ არა აღნიშნულმა გზებმა. განხილული იქნება საბჭოთა კავშირის ბრუტალისტური შენობების ადამიანურ მასშტაბში მოყვანის გზები, მიტოვებული შენობების დაცულად და უფრო სოციალურად გამოყენებად სივრცეებად გარდაქმნის სტრატეგიები.

კვლევა მოიცავს როგორც უბნის განვითარებასა და ისტორიას, ასევე თავად შენობის ჩამოყალიბებას, გაუმჯობესებასა და მის მნიშვნელობას ამ უბანში. კვლევაში იქნება განხილული საკვლევი ტერიტორიის ფუნქციები, მნიშვნელოვანი ნაგებობები,

მობილობა, გამწვანება და უბნის განვითარება წლების მანძილზე. ასევე იქნება განხილული სხვადასხვა ინოვაციის ცენტრების მაგალითი საერთაშორისო გამოცდილებებიდან.

არქიტექტურის მხრივ მნიშვნელოვანია საკვლევი ობიექტის ადაპტაცია ისე, რომ მისი არქიტექტურული სახე არ დაიკარგოს, თუმცა ჰქონდეს ახალი თანამედროვე ფასადი, ან სტრუქტურა. მისი არქიტექტურული ანალიზის შემდეგ შევძლებთ დავადგინოთ, თუ რა იქნება მნიშვნელოვანი მისი იერსახის შესანარჩუნებლად.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია დღევანდელი მდგომარეობის აღწერა, შენობისა და მის გარშემო ტერიტორიის პრობლემებისა და გამოწვევების დადგენა, სხვადასხვა ხერხისა და გადაწყვეტის მოფიქრება და მოძიება. ტექნიკური ბიბლიოთეკის ხალხისთვის საინტერესო, მდგრად, მრავალფუნქციურ, თავისუფალ და განვითარებად სივრცედ გადაქცევა.

მადლობა

ნაშრომის წერის პროცესში განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ლაურა ქუმსიაშვილს, რომელიც მეხმარებოდა ნაშრომისა და კონცეფციის ჩამოყალიბებაში და სადიპლომოს საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო სალომე ბერეჩიკიძეს, რომელიც ნახევარი წელი მეხმარებოდა სადიპლომოს თემის არჩევაში და გადაწყვეტების მიღებაში. განსაკუთრებული მადლობა ასევე მინდა გადავუხადო ნანო ზაზანაშვილს, ერეკლე ჩინჩალაძეს, ნიკა ცაგარეიშვილს და მის თანაგუნდელებს, რომლებმაც საკვლევი შენობის ისტორია გამაცნეს, გამიზიარეს თავისი მოსაზრება და დამოკიდებულება ჩემს სადიპლომო ნაშრომთან დაკავშირებით, გამიზიარეს მათ მიერ მოპოვებული მასალა და ინფორმაცია. მადლობა ჩემ გარშემო მყოფ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს გვერდში დგომისა და დახმარებისთვის. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარსა და კურსელს - მარიამ გონგლაძეს, გვერდში დგომისა და სწავლის პროცესში ერთად გატარებული დროისთვის, რომელიც სრულ სამაგისტრო კურსს მოიცავდა.